

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდის
(www.president.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული
მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 2 აპრილი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge




საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

www.president.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები



■ ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
 ■ წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- განყოფილებაში სათაურად „ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაციის უფროსი“ არ მოიძიება ადმინისტრაციის უფროსის ფოტოსურათი და ადმინისტრაციის უფროსის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების (კომპეტენციის) აღწერა.

აგრეთვე, არ მოიძიება მისი სამუშაო საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ამასთან, განყოფილებაში სათაურად „ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაციის უფროსი“ სასურველია აგრეთვე არსებობდეს ინფორმაციული ხასიათის მითითება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი:




- განყოფილებაში სათაურად „ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაციის სტრუქტურა“ მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეთა მხოლოდ სახელები და გვარები.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეთა ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და უფლება-მოვალეობების/საქმიანობის წესის აღწერა.

აგრეთვე, არ მოიძიება ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეთა სამუშაო საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სასურველია აგრეთვე არსებობდეს ინფორმაციული ხასიათის მითითება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით.

სასურველია განყოფილებაში „ადმინისტრაცია“ შეიქმნას განცალკევებული ქვე-განყოფილება სათაურად „უფროსის მოადგილეები“, სადაც განთავსდებოდა ზემოთ აღწერილი ინფორმაციის ერთობლიობა:



- განყოფილებაში სათაურად „ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაციის სტრუქტურა“ სასურველია მოიძიებოდეს საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის, საქართველოს პრეზიდენტის უკლებლივ ყველა მრჩეველისა და თანაშემწის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და სამუშაო საკონტაქტო რეკვიზიტების მინიმუმი მაინც:

პრესსამსახური | პრეზიდენტი | ფოტო და ვიდეოგალერეა | ადმინისტრაცია | სასახლე | საქართველო

მთავარი > ადმინისტრაცია > ადმინისტრაციის სტრუქტურა

ადმინისტრაციის
სიახლეები

ადმინისტრაციის უფროსი

ეროვნული უშიშროების
საბჭო

ადმინისტრაციის
სტრუქტურა

მიღების დღეები

ადმინისტრაციის სტრუქტურა

- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დავით ტყემელაშვილი
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეები - ირმა წადირაშვილი, სულხან სიბაშვილი
- საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი - მანანა მანჯგალაძე
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი - ლევან თარხნიშვილი
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი - ვან ბაიბურთი
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი - მუბარის კარაევი
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი - ნოდარ გრიგალაშვილი
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი - ნატალია ყანჩელი
- საქართველოს პრეზიდენტის თანამემწე იურიდიულ საკითხებში - გლადიმერ ლომსაძე
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი - ალანა გაგლოევა
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი - რაფაელ გლუქსმანი
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში-ეკონომიკური საბჭოს მდივანი - რომან გოცირიძე
- საქართველოს პრეზიდენტის თანამემწე ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პროექტების საკითხებში - კონსტანტინე კემულარია

ადმინისტრაციის სიახლეები

დებნა

პრეზიდენტის

Facebook Twitter YouTube Flickr RSS

ვიდეოგალერეა

დავით ტყემელაშვილმა მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების პრეზენტაცია გამართა

საუკუნის პროექტები

- განყოფილებაში სათაურად „პრეზიდენტი“ სასურველია მოიძიებოდეს საქართველოს პრეზიდენტის ფოტოსურათი:



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

პრესსამსახური

პრეზიდენტი

ფოტო და ვიდეოგალერეა

ადმინისტრ

მთავარი > პრეზიდენტი > ბიოგრაფია

პრეზიდენტის უფლებამოსილება

ბიოგრაფია

ბიოგრაფია

პირველი ლედი

ბიოგრაფია

საქმიანობა

ფოტოგალერეა

ინტერვიუები

მარია კაჩინსკას

გახსენება

პირველი ლედის წიგნი

"იდეალისტის ნაამბობი"

ჯანსაღი ცხოვრების

წესის ინიციატივა

პრიორიტეტები

ინაუგურაცია

სამუშაო გრაფიკა

მიხეილ სააკაშვილი დაიბადა საქართველოში, თბილისში, 1967 წლის 21 დეკემბერს. იგი ყველაზე უფროსია სამ მძას შორის. კიევის საერთაშორისო ურთიერთობების პრესტიჟული ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და ნიუ იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა ედმუნდ მასკის პროგრამით. 1995 წელს მაგისტრის ხარისხი მიიღო სამართლის განხრით. 1995-1996 წლებში ვაშინგტონში, სწავლობდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლის ეროვნული ცენტრის დოქტურანტურაში.

1995 წელს იგი მიიღეს ნიუ იორკის ადვოკატურაში და თითქმის ერთი წლის განმავლობაში ეუფლებოდა ბიზნეს სამართალს პეტერსონთან, ბელკნაფთან, ვებთან და ტაილერთან. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან იგი პირველი მოქალაქე გახდა, რომელმაც 1995 წელს მიიღო საპატიო დიპლომი ადამიანის უფლებების შედარებით სამართალში, სტრასბურგის ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ინსტიტუტში.

როგორც საქართველოს ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრმა, მან უზრუნველყო ქართველებსა და აფხაზებს შორის პატიმართა გაცვლის შეთანხმებები და აგრეთვე სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რომლებიც დატყვევებულნი იყვნენ მთიანი ყარაბაღისათვის საომარი მოქმედებების დროს. 1992 წელს მისი თაოსნობით ჩატარდა კონფერენცია ქართველი და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, რაც გულისხმობს, რომ ვებ-გვერდის ყველა გვერდს სასურველია დაუყვებოდეს შესაბამისი წერილობითი ფრაზა - „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი“. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს ნიშნულის მიდამოებში, გარკვევით და ვრცლად:



3. განყოფილებაში „დაგვიკავშირდით“ უკვე არსებულ ინფორმაციასთან ერთად სასურველია განთავსდეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სრული (გაშლილი) სარეკვიზიტო ცნობარი, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციის ყველა სტრუქტურული ერთეულის (სამსახურების და სამმართველოების) სარეკვიზიტო ცნობარს - საკონტაქტო ტელეფონის ნომრებს, ელ.ფოსტებს, ფაქსის ნომრებს და ა.შ.

ამავე განყოფილებაში აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფაქსის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი (მაგ.: info@president.gov.ge) და ინფორმაციული აღნიშვნა იმის თაობაზე, თუ ადმინისტრაციის რომელი სამსახურის ნომერს წარმოადგენს განყოფილებაში „დაგვიკავშირდით“ მოცემული საკონტაქტო ნომერი:

დაგვიკავშირდით

*გთხოვთ, შეავსოთ აუცილებელი ველები**

სახელი*

გვარი*

ელფოსტა*

ტელეფონი

შეტყობინება*

ფაილი* No file chosen
დაშვებული ფაილის ტიპები: PDF, JPG, PNG

დამცავი კოდი*

ს ა კ კ გ

გ ა გ ზ ა გ ნ ა

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი:
პრეზიდენტის ადმინისტრაცია,
მ. აბდუშელიშვილის ქ. №1; 0103; თბილისი

ტელეფონის ნომერი:
(+995 32) 28-27-36

4. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული ქვე-განყოფილება, სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება კანონმდებლობით განსაზღვრული საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების აღწერა, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი ქვე-განყოფილება.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

6. განყოფილებაში სათაურად „ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაციის სტრუქტურა“ მოყვანილია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ხელმძღვანელების ჩამონათვალი. თუმცა, ვებ-გვერდის მომხმარებელთათვის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად ხსენებულ ქვე-განყოფილებაში სასურველია აგრეთვე განთავსდეს:

- ადმინისტრაციის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე);
- ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის (ფუნქციების) აღწერა;
- ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

- საქართველოს პრეზიდენტის სამდივნო, სამდივნოს უფროსი - მანა შიუკაშვილი
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამდივნო, სამდივნოს უფროსი - ნინო ახვლედიანი
- პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედების სამსახური, სამსახურის უფროსი - ირაკლი გორდულაძე
- იურიდიულ საკითხთა სამსახური, სამსახურის უფროსი - თინათინ სირაძე
- პრესსამსახური, პრესსამსახურის უფროსი - ნათია ბანძელაძე
- მოქალაქეობის, სახელმწიფო ჯილდოებისა და შეწყალების საკითხთა სამსახური, სამსახური უფროსი - იაკობ ზაქარეიშვილი
- საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახური, სამსახურის უფროსი - დავით უმეკაშვილი
- საფინანსო-ეკონომიკური სამსახური, სამსახურის უფროსი - გიორგი პეტრიაშვილი
- საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველო, სამმართველოს უფროსი - დავით ლაშხია
- შესყიდვების სამმართველო, სამმართველოს უფროსი - ვასილ ანდლულაძე

- კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველო, სამმართველოს უფროსი - ლევან სარაჯვეგი
- ქონების მართვისა და ექსპლუატაციის სამმართველო, სამმართველოს უფროსი - ზვიად ზაალიშვილი
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო, სამმართველოს უფროსი - გაგი თურქაძე
- კულტურული ღონისძიებების სამსახური, სამსახურის უფროსი - ლელა კილაძე
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სამსახურის უფროსი - ხათუნა ნუცუბიძე
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სამსახურის უფროსის მოადგილე - მერი ლომია
- მოქალაქეთა მისაღები სამმართველო, სამმართველოს უფროსი - ლია ჭილაშვილი
- პროტოკოლისა და საგარეო ურთიერთობების სამსახური, სამსახურის უფროსი - ზურაბ დარჩიაშვილი
- პროტოკოლისა და საგარეო ურთიერთობების სამსახური, სამსახურის უფროსის მოადგილე - გიორგი მირცხულავა


➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

7. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვაკანსიათა არქივი (წლების, თვეების მიხედვით), საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერებისა და განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვების არქივი (წლების, თვეების მიხედვით), ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა მონაცემთა ბაზა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური და კვარტალური ანგარიშები საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობასთან

დაკავშირებული სტატისტიკურ (მ.შ. დინამიკური მაჩვენებლების) მონაცემთა ბაზა და ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება შესაბამისი ინფორმაციული შიგთავსით.

➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

8. განყოფილებაში სათაურად „ადმინისტრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ადმინისტრაციის სიახლეები“ მოყვანილია ცნობები, რომლებიც თარიღდება 2011 წლის ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდით. ხსენებულ ქვე-განყოფილებაში სასურველია განთავსდეს სხვა პერიოდის შესაბამისი ცნობებიც:

პრესსამსახური	პრეზიდენტი	ფოტო და ვიდეოგალერეა	ადმინისტრაცია	სასახლე
<p>მთავარი > ადმინისტრაცია > ადმინისტრაციის სიახლეები</p> <p>ადმინისტრაციის სიახლეები</p> <p>ადმინისტრაციის უფროსი</p> <p>ეროვნული უშიშროების საბჭო</p> <p>ადმინისტრაციის სტრუქტურა</p> <p>მიღების დღეები</p>			<p>ადმინისტრაციის სიახლეები</p> <p>ადმინისტრაციის უფროსი</p> <p>ეროვნული უშიშროების საბჭო</p> <p>ადმინისტრაციის სტრუქტურა</p> <p>მიღების დღეები</p>	<p>Facebook</p> <p>Twitter</p> <p>30 დეკ</p> <p>საფრანგეთის პრეზიდენტი</p> <p>საუკუნე</p> 
<p>ადმინისტრაციის სიახლეები</p> <p>27.12.2011</p> <p>საქართველოს პრეზიდენტისა და პირველი ლედის სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ პოლიტიკურ განცხადებას</p> <p>საქართველოს პრეზიდენტისა და პირველი ლედის სახელით, სიღარიბის დაძლევისა და გადაუდებელ დახმარებათა ფონდს - ქველმოქმედთა სახლი „მომავლის გზა“ საახალწლო საჩუქრები გადასცეს.</p>				
<p>20.12.2011</p> <p>დავით ტყეშელაშვილმა მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების პრეზენტაცია გამართა</p> <p>საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა, მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის რანგში დღეს ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია გამართა და 2011 წლის შედეგები შეაჯამა.</p>				
<p>06.12.2011</p> <p>საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ახალი პროექტის ფარგლებში ყვარლის წარჩინებულ მოსწავლეებს უმასპინძლა</p> <p>ყვარლის წარჩინებულმა მოსწავლეებმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალი პროექტის „ერთი დღე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში“ ფარგლებში, ერთი სამუშაო დღე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაატარეს.</p>				
<p>06.10.2011</p> <p>პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სომხეთის რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარეს შეხვდა</p> <p>პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ტყეშელაშვილი სომხეთის რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, იშხან</p>				

9. განყოფილებაში „ადმინისტრაცია“ სასურველია შეიქმნას განცალკევებული ქვე-განყოფილება სათაურად „საქმიანობის ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის ამსახველი წლიური/კვარტალური ანგარიშები.

10. ვებ-გვერდზე სასურველია შეიქმნას განცალკევებული განყოფილება (ბანერი) სათაურად „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური და დინამიკური მაჩვენებლები, მ.შ. საქართველოს პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის სახელზე წარმოდგენილ მოქალაქეთა თხოვნებზე, შუამდგომლობებზე, განცხადებებსა და სახელმწიფო ორგანოებიდან მიღებულ შესაბამის პასუხებზე სტატისტიკური მონაცემები და შესაბამისი ანალიზი.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაცია (ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

12. ვებ-გვერდის მომხმარებელთათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მიზნით სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს სახელმწიფო რწმუნებულთა – გუბერნატორთა და გუბერნატორთა ადმინისტრაციათა ოფიციალური ვებ-გვერდების მისამართების სია, აგრეთვე იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.


➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

13. მომხმარებელთათვის ინფორმაციის მოძიების გაადვილების მიზნით განყოფილებაში სათაურად „პრესსამსახური“ არსებული ქვე-განყოფილება „სამართლებრივი აქტები“ სასურველია გამოტანილ იქნეს მთავარ გვერდზე თვალსაჩინო ადგილას ბანერის სახით. ბანერში „სამართლებრივი აქტები“ ვებ-გვერდზე უკვე არსებულ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებთან ერთად სასურველია განთავსდეს აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების ელექტრონული რეესტრი შესაბამისი თანდართული ფაილებით. სასურველია აგრეთვე მოიძიებოდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებიც.

ამასთან, განყოფილებაში სათაურად „ადმინისტრაცია“ სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილებები „დებულებები“ და „შინაგანაწესი“, სადაც სათაურის შესაბამისად განთავსდებოდა საქართველოს

პრეზიდენტის ადმინისტრაციის დებულება/ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებები და ადმინისტრაციის შინაგანაწესი მოქმედი მდგომარეობით. ამავე განყოფილებაში სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილება „ადმინისტრაციის უფროსის აქტები“, სადაც განთავსდებოდა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტები მ.შ. ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა და საშტატო ნუსხა.

სასურველია სამართლებრივი აქტებიდან ვებ-გვერდზე, აგრეთვე, მოიძიებოდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის ტექსტები და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების მომსახურეთა თანამდებობრივი სარგოები:



- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და საქართველოს პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის სახელზე მოქალაქეთა თხოვნების, შუამდგომლობების და განცხადებების მიღების წესის აღწერა.

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_sajaro_info.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც აგრეთვე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_info_statistics0001.pdf).

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები/აუქციონები“, სადაც განთავსდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების

(ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და აგრეთვე, ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია (განცხადებები, ცნობები და ა.შ.).

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_shesqidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც აგრეთვე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_shesqidvebi0001.pdf).

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

19. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია;

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_budget.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაციას (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც აგრეთვე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_budget0001.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა ცალ-ცალკე, 2011 წლის მეორე კვარტალის (აპრილი-მაისი-ივნისი) მდგომარეობით, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_tanamshromlebi.pdf);

- არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_xelfasebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც აგრეთვე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_xelfasipremia0001.pdf);

- არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხების შესახებ ინფორმაციის არქივი (წლებნის, თვეების მიხედვით);
- არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ თანხების შესახებ ინფორმაცია;

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_sarezervo.pdf


აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/prezidenti_sarezervofondebi.pdf).

ზემოთ ხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ განყოფილებაში „ფინანსური მონაცემები“.


ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი საზოგადოების ინფორმირებულობისაკენ ორიენტირებული ვებ-გვერდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ელ.გამჭვირვალობის მაღალი დონის მისაღწევად ვებ-გვერდი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზების დამატებას, როგორებიცაა - ტენდერებისა და განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვების არქივი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვაკანსიათა არქივი, საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები/მოხსენებები. ამავე დროს, უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ბრეზიდენტის სამართლებრივი აქტების (განკარგულებები, ბრძანებულებები და სხვა) პროაქტიულად გამოქვეყნება ელ.რესურსზე. ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების შერჩევითობის პრინციპით გამოქვეყნება მნიშვნელოვნად ადაბლებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხს და უარყოფით მაგალითს აძლევს სხვა საჯარო დაწესებულებებს ღიაობის პოლიტიკის დანერგვაში. ვფიქრობთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტის ოფიციალური ელ. რესურსი უნდა იყოს მაგალითის მიმცემი ყველა ადმინისტრაციული ორგანოსთვის გამჭვირვალობის, ღიაობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი - www.president.gov.ge მხოლოდ საპრეზენტაციო და ზოგადი საინფორმაციო რესურსის შთაბეჭდილებას ტოვებს.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ნავიგაცია

ვებ-გვერდის რუკა განთავსებულია რესურსის დაბლითა მხარეს:

პრესსამსახური	პრეზიდენტი	ფოტო და ვიდეოგალერეა	ადმინისტრაცია	სასახლე	საქართველო
სიახლეები რელიზები განცხადებები და განცხადებები შეხვედრები და ვიზიტები ინიციატივები ინტერვიუები წერილები დოკუმენტები სანარკულბრივი აქტები წერილები და მიმართვები წლიური ანგარიში პრეზიდენტი	პრეზიდენტის უფლებამოსილება ბიოგრაფია პირველი ლედი ბიოგრაფია საქმიანობა ფოტოგალერეა ინტერვიუები მარია კაჩინასა და ტახტზე პირველი ლედის წიგნი "იდეალისტის ნაშრომი" უკანააღი კბურების წესის ინიციატივა პრიორიტეტები ინაუგურაცია სამშუაო გრაფიკა	ფოტოგალერეა ვიდეოგალერეა	ადმინისტრაციის სიახლეები ადმინისტრაციის უფროსი ეროვნული უშიშროების საბჭო ადმინისტრაციის სტრუქტურა მიღების დღეები	ინტერაქტიული ტური ისტორია სასახლის ტურები	საქართველოს შესახებ სახელმწიფო ხელისუფლება ტერიტორიული მოწყობა და მმართველობა სახელმწიფო სიმბოლოები სახელმწიფო ჯილდოები დღესასწაულები საქართველო მსოფლიო მედიაში საქართველო ციფრში საუკუნის პროექტები ენეთ საქართველოს დირსმესანიშნავი ადგილები სამზარეულო საეიზო ინფორმაცია და საელოები ტრანსპორტირება და სასტუმროები ამინდი ვალუტა

www.president.gov.ge

[ვებ-გვერდი](#) | [საიტის რუკა](#) | [სასარგებლო ბმულები](#) | [RSS-ის გამოწერა](#)

© 2011 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

PRODUCED BY GEOPLUS | DEVELOPED BY HelixGroup

თუმცა, მისი ბმული ვებ-გვერდის ძირითად პანელში არ გვხვდება, რის გამოც მომხმარებელს შეიძლება გაუჭირდეს რუკის მოძიება;

➤ ძიება

ძიების შედეგებში სასურველია საძიებო სიტყვა გამოირჩეოდეს სხვა მოძიებული ინფორმაციისგან, ამ გზით მომხმარებელს უფრო უადვილდება ინფორმაციის აღქმა. ამჟამად ძიების მოდულში ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი არ არის გათვალისწინებული.

მაგ:

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სპორტსმენებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი განმუხურში ჩავიდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ახალ მწვრთნელს კლაუს ტომპიოლერს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გარემოს დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას შეხვდა

ფილოსოფია ბუდუარში მიხეილ სააკაშვილთან ერთად

საქართველოს პრეზიდენტი ბათუმში სახალხო სეირნობას შეუერთდა

საქართველოს პრეზიდენტი რიყეზე რონალდ რეიგანის ქანდაკების გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა

ქვეყნის პირველმა პირმა გარდაბანში ახალი სამედიცინო ცენტრი დაათვალიერა

საქართველოს პრეზიდენტმა გარდაბნის მოსახლეობას მიმართა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური შემაჯამებელი მოხსენება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე

მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში ხის გადამამუშავებელი მინი ქარხანა გახსნა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სპორტსმენებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი განმუხურში ჩავიდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ახალ მწვრთნელს კლაუს ტომპიოლერს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გარემოს დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას შეხვდა

ფილოსოფია ბუდუარში მიხეილ სააკაშვილთან ერთად


ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსიის ძიების მოდულში ავტომატურად უნდა იყოს შესაძლებელი ქართული ფონტის (უნიკოდის) გამოყენება. აღნიშნული კრიტერიუმი ამჟამად ვებ-გვერდზე არ არის გათვალისწინებული.

მაგ:




➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

რესურსის ზოგიერთ გვერდზე ქრება გვერდითა პანელები და ვებ-გვერდზე რჩება სიცარიელე. მაგ:




თუ პანელები მსგავს გვერდებზე არ არის საჭირო, მაშინ კონტენტის ბლოკი სიგანეში უნდა გაიზარდოს, რომ სიცარიელე ვებ-გვერდზე აღარ იგრძნობოდეს;

ტექსტის სათაური აუცილებლად გამორჩეული უნდა იყოს ზომით ტექსტისგან. ამ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი არ არის დაცული. მაგ:



ინფორმაციის სიჭარბის გამო, გვერდი შეიძლება საკმაოდ გაიწელოს, ამიტომ საჭიროა მისი გადანაწილება რამოდენიმე გვერდზე, მაგალითად 1,2,3 და ა.შ.

მაგ.: ამ შემთხვევაში ვებ-გვერდზე ინფორმაციის მოცულობის გამო, მისი წაკითხვა საკმაოდ არაკომფორტული ხდება:



ამასთან, მისი გადანაწილება გვერდებზე სამწუხაროდ არ არის გათვალისწინებული;

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო გვერდზე არ არის მითითებული ადმინისტრაციის ელ.ფოსტა:

გთხოვთ შეავსოთ აუცილებელი კვლები *

სახელი *	<input type="text"/>
გვარი *	<input type="text"/>
ელფოსტა *	<input type="text"/>
ტელეფონი	<input type="text"/>
მეტყობინება *	<input type="text"/>
ფაილი *	<input type="text"/> <input type="button" value="Browse..."/>
დამცავი კოდი *	<input type="text"/>

დაშვებული ფაილის ტიპები: PDF, JPG, PNG

2 N H E C

გ ა გ ზ ა ე ნ ა

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი:
პრეზიდენტის ადმინისტრაცია,
მ. აბდუშელიშვილის ქ. №1; 0103; თბილისი

ტელეფონის ნომერი:
(+995 32) 28-27-36

სასურველია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ელ.მისამართი აუცილებლად იყოს მითითებული ყველა საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდის საკონტაქტო გვერდზე;

➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ბრაუზერ „Opera“-ში ვებ-გვერდის ფონტი იცვლება. შემდეგ ბრაუზერებში: „Firefox“, „Safari“, „Chrome“ და „Internet Explorer“ ვებ-გვერდის ფონტად იტვირთება Sylfaen-ი, მაგ:


The screenshot shows a news article on the website 'საქართველოს პრეზიდენტი ევროპის სახალხო პარტიის დელეგაციას შეხვდა'. The article text is in Georgian. The browser's address bar shows 'www.president.gov.ge'. The page layout includes a main image of a meeting, a search bar, and social media icons for Facebook, Twitter, YouTube, Flickr, and RSS. The font used in the browser is Sylfaen.

თუმცა, ბრაუზერ „Opera“-ში იტვირთება სხვა ფონტი. მაგ:

This screenshot shows the same news article as above, but with a different font change in the Opera browser. The text is still in Georgian, and the page layout is identical, including the main image, search bar, and social media icons. The font used in the browser is different from the first screenshot.


ვებ-გვერდზე ყველა გვერდს აქვს ერთიდაიგივე დასახელება (Document Title). მაგალითად, თუ მომხმარებელი იმყოფება პრეზიდენტის ბიოგრაფიის გვერდზე, გვერდის დასახელება მაინც შემდეგია: „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია“. ეს სათაური ყველა გვერდს ერთიდაიგივე აქვს.

მაგ:



ვებ-გვერდზე შეიმჩნევა მცირე პროგრამული წუნი. კონკრეტულად Javascript-ი არასწორად არის დაწერილი, რის გამოც ბრაუზერი „Firefox“-ი ვერ აღიქვავს კოდს მართებულად.

მაგ:



➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდზე გადაცემული ცვლადების ხელოვნურად შეცვლის შემდეგ გამოდის შემდეგი შეცდომა:

Server Error in '/' Application.

Runtime Error

Description: An application error occurred on the server. The current custom error settings for this application prevent the c machine.

Details: To enable the details of this specific error message to be viewable on remote machines, please create a <customErrc "mode" attribute set to "Off".

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
  <system.web>
    <customErrors mode="Off"/>
  </system.web>
</configuration>
```


Notes: The current error page you are seeing can be replaced by a custom error page by modifying the "defaultRedirect" attril

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
  <system.web>
    <customErrors mode="RemoteOnly" defaultRedirect="mycustompage.htm"/>
  </system.web>
</configuration>
```


ეს არ არის მნიშვნელოვანი ხარვეზი, თუმცა მაინც სჯობს მსგავსი შეცდომები არ გამოჩნდეს ვებ-გვერდზე;

ვებ-გვერდს აქვს HTTPS მხარდაჭერა, რაც დღეს-დღეობით აუცილებელია უსაფრთხოებისთვის. ეს ფაქტი აუცილებლად დადებითად უნდა აღინიშნოს:



➤ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდს აქვს ბეჭდვის ფუნქცია, თუმცა იგი გაუმართავია. საბეჭდი ვერსიის ხანდახან გვერდი ცარიელია და მასში მხოლოდ თარიღია გამოსახული, მაგ:



12/27/2011

ზოგ შემთხვევაში კი ამოსაბეჭდი ტექსტის მხოლოდ ინგლისური ვერსია არსებობს:



Priorities

1. Protect the interests of the country and the society.
2. Reinforce state independence, restore territorial integrity, and reinforce the state security system.
3. Promote the formation of a democratic society, establish the judicial state that would be based on the rule of law, institute legal and institutional guarantees for the protection of basic human rights and freedoms, and promote the reinforcement of strong civil society.
4. Promote a free market economy, through the reinforcement of the economic potential of the country, establish stable guarantees for social welfare and social development.
5. Establish democratic state institutions in Georgia.
6. Integrate into the Euro Atlantic sphere, reinforce partnership based on cooperation with the neighboring states.
7. Uncompromisingly fight against corruption.
8. Support democratic reforms.
9. Cooperate with public organizations for the purpose of establishing transparent systems.

ამავე დროს ამოსაბეჭდ ვერსიაში არცერთ შემთხვევაში არ გვხვდება ოფიციალურობის დამადასტურებელი აღნიშვნა ან შესაბამისი გერბი.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდის პროგრამულ კოდს და სტრუქტურას აქვს ხარვეზები. ვებ-გვერდზე დასახვეწია ძიების მოდული, საკონტაქტო გვერდი და გასამართია პროგრამული კოდი. სასურველია ვებ-გვერდს დაემატოს ახალი მოდულები, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს მეტად ჩაერთონ განხილვებში და ასევე გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა პროგრამებისა თუ ინიციატივების შესახებ. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, ქვეყნის პირველი პირის ოფიციალური ვებ-გვერდი საჭიროებს მეტ ინტეგრაციას თანამედროვე ტექნოლოგიებთან და სერვისებთან.